თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 20.01.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. მანუჩარ ფანჩულიძე, 8. რამინი რობაქიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. როლანდი მესხი

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28220184, 18.01.2022 წ);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 2889.3 ათასი ლარით და შეადგენს 22099.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2889.3 ათასი ლარით (გრანტი). საქართველოს მთავრობის განკარგულებებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2889.3 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 2889.3 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 1512,9 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 760.0 ათასი ლარით. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 475.0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 277.9 ათასი ლარით.

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა 760.0 ათასი ლარით, სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობაზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 616.4 ათასი ლარით, სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოებზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, როლანდი მესხმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: გრიგოლ გიორგაძემ, დავით გოგბერაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი